დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2021 წლის 16 ივნისის N01-4/106 ბრძანებით
ცვლილება: ბრძანება N01-4/265 27.12.2021;
N01-4/17 28.01.2022;
N01-4/293, 29.12.2023

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

# პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
2. მოდული – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.
3. კომპეტენცია – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა.
4. სწავლის შედეგი – განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.
5. ვერიფიკაცია - შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

## მუხლი 3. შეფასების ინსტრუმეტის შერჩევა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ს.

## მუხლი 4. შეფასების პრინციპები

<u>შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:</u> ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

### 4.1. ვალიდურობა

<u>შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ</u> გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

### 4.2. სანდოობა

<u>შეფასების სისტემა სანდოა, თუ</u> განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

### 4.3. გამჭვირვალობა

<u>შეფასების სისტემა გამჭვირვალეა,</u> თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პიროსათვის.

### 4.4. სამართლიანობა

<u>შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ</u> შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

### 4.5. *ობიექტურობა*

<u>შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ</u> ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

## მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

## მუხლი 6. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

2. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.

3. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროფესიული სტუდენტი (შესაფასებელი პირი) დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

4. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

**მუხლი 7. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა**

1. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   - სწავლის შედეგი დადასტურდა;
   - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

**მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, შემუშავება, ვალიდაცია**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).
3. შეფასების ინსტრუმენტი ასევე შესაძლებელია შეიმუშაოს ან მის შემუშავებაში იყოს ჩართული დარგის ან/და განათლების ექსპერტი, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების/პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეფასების ინსტრუმენტების ბანკის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სტანდარტული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.
4. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.
5. განმეორებითი შეფასებისთვის ინსტრუმენტის შემუშავება ხდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტში მითითებული პირების მიერ;
6. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია შეფასების მიმართ არსებული მოთხოვნები, კერძოდ: შეფასების ინსტრუმენტები არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური/სამართლიანი.
7. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხდება მოდულის ადაპტაციის ეტაპზე, ხოლო მისი შემუშავება კალენდარული გეგმით გათვალისწინებული შედეგის შეფასების ჩატარებამდე;
8. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას გამოიყენება კოლეჯის მიერ დამტკიცებული ფორმა (დანართი N1).
9. შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი ავსებს ფორმით გათვალისწინებულ ყველა ველს.
10. შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში წარმოდგენილი მონაცემების სისრულის და სისწორის გადამოწმების მიზნით, ხორციელდება შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია;
11. შეფასების ინსტრუმენტის წარდგენა ვალიდაციაზე ხდება სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურებამდე არა ნაკლებ 6 (ექვსი) სამუშაო დღით ადრე;
12. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად, რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტის ფორმაზე მათი ხელმოწერით.
13. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისთვის გამოიყენება ფორმა (დანართი N2);
14. ვალიდაციაში ჩართული პირების მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ხორციელდება ინსტრუმენტის წარდგენიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში;
15. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფაქტი დასტურდება ვალიდაციაში ჩართული

პირის/პირების მიერ ხელმოწერილი შეფასების ინსტრუმენტით;

16. შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით, ეგზავნება შემფასებელს/ინსტრუმენტის შემმუშავებელს, რომელიც ვალდებულია არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში შესწორებული სახით წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც არაუმეტეს 1 (ერთ) სამუშაო დღეში ხელმოწერით ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას.
17. მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ან ვალიდაციაში ჩართული პირი არ შეიძლება იყოს შიდა ვერიფიკატორი და ხარისხის მართვის მენეჯერი.
18. თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, განმეორებითი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია გამოიყენოს შეფასების იგივე ინსტრუმენტი, ან შეფასების ინსტრუმენტში განახორციელოს ცვლილებები. მაგ. წერილობითი გამოკითხვის (ტესტი) შემთხვევაში, შეცვალოს კითხვები, კითხვის ფორმულირება, ტესტში კითხვების თანმიმდევრობა (დაზეპირების თავიდან აცილების მიზნით) და სხვ.
19. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტში განხორციელებული ცვლილებებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მოდიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტი წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს უარყოფითი შეფასების დადგომიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში.
20. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს წაროდგენილ ინსტრუნეტს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში და ადასტურებს ინსტრუმენტის ვალიდურობას.
21. შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით, ეგზავნება შემფასებელს/ინსტრუმენტის შემმუშავებელს, რომელიც ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღეში შესწორებული სახით წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც არაუმეტეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში ხელმოწერით ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას.

**მუხლი 9. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია**

1. ვერიფიკაცია არის კოლეჯში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი-შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.
2. შეფასება მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას/ შედეგის (პროდუქტის) შეფასებას/ გამოკითხვას.
3. შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
4. შიდა ვერიფიკაციის შედეგად პროფესიული განათლების მასწავლებლები იღებენ თანმიმდევრულ და ზუსტი შეფასების გადაწყვეტილებებს განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმის შესაბამისად.
5. შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.
6. შიდა ვერიფიკაცია შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:
   - შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
   - პროცესის ვერიფიკაცია;
   - მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
7. შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება წინასწარ შედგენილი შიდა ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, რომლის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.
8. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შესაბამისი ცონდისა და კვალიფიკაციის მქონე პირი - შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშია განათლების და დარგის ვერიფიკატორები. განათლების ვერიფიკატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ხარისხის მართვის მენეჯერმა.
9. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი,დარგის წარმომადგენელი.

10. შიდა ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს იმავე მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ან ვალიდაციაში ჩართული პირი.
11. განათლების ვერიფიკატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური ასპექტების შეფასებას „შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის კითხვარის“ (დანართი N3) მიხედვით, დარგის ვერიფიკატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას „შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის კითხვარის“ მიხედვით.
12. შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება შესაბამისი ვერიფიკაციის კითხვარების საფუძველზე.
13. **ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე** სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად. სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი/დარგის სპეციალისტი ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი მხარის შესაბამისობას მოდულთან, ვალიდაციის კითხვარის საფუძველზე (დანართი N2 - შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კითხვარი). ინსტრუმენტის ვალიდურობა დასტურდება შეფასების ინსტრუმენტის ფორმაზე მათი ხელმოწერით. ხელმოწერილი შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასებისთვის.
14. შიდა ვერიფიკატორი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:
    - რეგულარულად ესწრება შეფასების პროცესს, რათა უზრუნველყოს შეფასების კარგი პრაქტიკა;
    - ადასტურებს შეფასების სანდოობას და ვალიდურობას;
    - არჩევს შეფასებების ნიმუშებს, რათა შეამოწმოს შეფასების თანამიმდევრულობა და სამართლიანობა;
    - ადასტურებს შემფასებლების მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;
    - უზრუნველყოფს, რომ შეფასების და შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები იყოს სრული და ზუსტი;
    - ეხმარება პროფესიულ მასწავლებლებს, აძლევს უკუკავშირს, მითითებებს და რჩევებს;
    - ეხმარება პროფესიულ მასწავლებლებს ტრენინგის საჭიროებების იდენტიფიცირებაში;
    - თანამშრომლობს გარე შემმოწმებლებთან (ვერიფიკატორთან) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
15. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი პრინციპის საფუძველზე.
16. ვერიფიკაციის ნიმუშების შერჩევისას, რისკების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების რაოდენობა, არსებული რესურსები, ვერიფიკატორების რაოდენობა, ინსტუმენტების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, მაგალითად, დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.
17. **ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე** ხორციელდება შეფასების პროცესზე დაკვირვება, რათა შეფასდეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების პროცესზე დაკვირვება ხორციელდება შერჩევითად, ადმინისტრაციის წარმომადგენლის/წარმომადგენლების ან/და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. გამოიყენება შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფორმები (დანართი N4 - მეცადინეობის შეფასების ფორმა; დანართი N5 - შეფასების პროცესის განხორციელების დაკვირვების ფორმა) შეფასების შემდეგ, წერილობითი ან/და პრაქტიკული დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.
18. **ვერიფიკაციის მესამე ეტაპზე** ვერიფიკაცია ეყრდნობა უკვე შექმნილ მტკიცებულებებს;
19. შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების შემოწმება ხდება შეფასების მტკიცებულების შემოწმების კითხვარის მეშვეობით (დანართი N6 - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ მტკიცებულების შემოწმების კითხვარი);
20. ვერიფიკაციის დროს უნდა შეფასდეს ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 25% პროცენტი;
21. უარყოფითი შედეგების შემთხვევაში უნდა შეფასდეს ყველა მტკიცებულებება;
22. შიდა ვერიფიკატორთა ჯგუფი ადგენს ვერიფიკაციის დასკვნის (დანართი N7) პროექტს,

რომელიც თანხმდება ხარისხის მართვის მენეჯერთან და შემდეგ ეგზავნება პროფესიულ მასწავლებელს/ ინსტრუმენტის შემმუშავებელს და სასაწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს ან/და პროგრამის ხელმძღვანელს;

23. შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით, ეგზავნება შემფასებელს/ინსტრუმენტის შემმუშავებელს, რომელიც ვალდებულია შეიტანოს ცვლილებები შეფასების ინსრტრუმენტებში მათი გამოყენების ახალი ციკლის დაწყებამდე არა ნაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე.
24. შიდა ვერიფიკატორების მიერ ჩატარებული შემოწმებების და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს ანგარიშს და წარუდგენს დირექტორს. ანგარიშიდან გამომდინარე, დირექტორის მოადგილეს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად ევალება: პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის დახმარების გაწევა და სათანადო კონსულტირება ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობისა და საიმედოობის კუთხით; გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის, მაგალითად დამატებითი ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის, შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების დაგეგმვა ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში სხვა პირების ჩართულობა, სხვა დაწესებულებების გამოცდილების გაზიარება და სხვა.
25. საჭიროების შემთხვევაში, სასაწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ადგენს რეკომენდაციების შესრულების გეგმას და ანგარიშს მათი შესრულების შესახებ. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

**მუხლი 10. შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება**

1. შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეიძლება განახორციელოს მოდულის განმახორციელებელმა პირმა ან/და სასაწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერმა/ადმინისტრაციის წარმომადგენელმა;
2. შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება ხორციელდება შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე;
3. შეფასების ჩატარებამდე პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებელია მიეწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: შეფასების თარიღი, შეფასებისათვის განკუთვნილი დრო, შესაფასებელი სწავლის შედეგების ჩამონათვალი, შეფასების პირობები, სავარაუდო თემატიკა, წარმოსადგენი მტკიცებიულებების სახეები, განმეორებითი შეფასების პირობები და სხვა.
4. პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხდება არანაკლებ 2 სამუშაო დღეში;
5. შეფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე ელექტრონული ფორმით;
6. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მათთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროება ხდება სტუდენტის თანხმობით (სიტყვიერი ან წერილობითი)

**მუხლი 11. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება**

პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

**მუხლი 12. მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით;
2. სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა იყოს :
   - ვალიდური - ზუსტად შეესაბამებოდეს შეფასების მიმართულებას;
   - ტრანსფერული -ადასტურებდეს, რომ სტუდენტს შეუძლია ამოცანები შეასრულოს დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან შეფასების პროცესში, არამედ სამუშაო ადგილზეც;
   - ავთენტური -შესაფასებელი სტუდენტის მიერ შექმნილი;
   - საკმარისი - აჩვენებდეს, რომ სტუდენტს შეუძლია, შეასრულოს ნებისმიერი საქმიანობა სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად;
3. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
4. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას.
5. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
6. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა სათანადო წესით აღრიცხვას და შენახვას ახორციელებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.
8. მოდულის დასრულების შემდგომ, მოდულის განმახორციელებელი პირი, შეგროვებულ შესრულების მტკიცებულებებს და შეფასების უწყისებს, არაუმეტეს ათი დღის ვადაში წარუდგენს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც სარეგისტრაციო ჟურნალებში (სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალი და შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალი) აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.
10. სამი წლის გასვლის შემდეგ, შეფასების უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ, შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალთან ერთად, მუდმივი შენახვის მიზნით გადაეცემა კოლეჯის არქივს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები ნადგურდება კანონით დადგენილი წესით ან გამოიყენება კოლეჯის მიზნებისათვის.

დანართი1 (N1.1)

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

# შეფასების ინსტრუმენტის ფორმა

| | | |
|---|---|---|
| 1. | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: | |
| 2. | პროგრამის დასახელება, კოდი: | |
| 3. | მოდულის დასახელება, სარეგისტრაციო ნომერი: | |
| 4. | სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი: | |
| 5. | შეფასების მიმართულება | |
| 6. | შეფასების ინსტრუმენტი: | |
| 7. | დავალების აღწერა: | |
| 8. | მტკიცებულება: | |
| 9. | შესრულების  კრიტერიუმის /სწავლის შედეგის დადასტურება: | |
| 10. | განმეორებითი შეფასების პირობები | |
| 11. | შეფასების ინსტრუმენტის ავტორი/ავტორები: | |
| 12. | ინსტრუმენტის შემმოწმებელი/ვალიდატორი | |

შეფასების ინსტრუმენტი ვალიდურია:

თარიღი:

**დანართი N1.2**

**შესაფასებელი პირი (სახელი, გვარი) ----------**

**თარიღი----------**

| **დავალების აღწერა** |
|---|
| 1.დავალების შესრულების ინსტრუქცია |
| 2. დავალების დადასტურების პირობები |
| 3. გარემო, სადაც ტარდება  შეფასება |
| 4. შეფასებისთვის გამოყოფილი დრო |
| 5. დავალების შესრულებისთვის საჭირო ინსტრუმენტები და მასალები: (საჭიროების შემთხვევაში) |

**დანართი N1.3**

**პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმოებული ჩანაწერი (ჩეკ-ლისტი)**

| **სწავლის შედეგი 1 -** | | |
|---|---|---|
| **დავალების შეფასების კრიტერიუმი:** | **შეფასება** | |
| | **შეასრულა** | **ვერ შეასრულა** |
| **1.1. შესრულების კრიტერიუმი** | | |
| 1.1.1. | | |
| 1.1.2. | | |
| 1.1.3. | | |
| **1.2. შესრულების კრიტერიუმი** | | |
| 1.2.1. | | |
| 1.2.2. | | |
| 1.2.3. | | |
| **1.3. შესრულების კრიტერიუმი** | | |
| 1.3.1. | | |
| 1.3.2. | | |
| 1.3.3. | | |

**შესრულების კრიტერიუმის /სწავლის შედეგის დადასტურება:**

| სწავლის შედეგის | | სწავლის შედეგის / შესრულების კრიტერიუმის დადასტურება | |
|---|---|---|---|
| | | დადასტურდა | არ დადასტურდა |
| შესრულების კრიტერიუმები | | | |
| | | | |
| | | | |

**შესაფასებელი პირი:** _____

სახელი გვარი ხელმოწერა

**პედაგოგები:** _____

სახელი გვარი ხელმოწერა

**შეფასების განხორციელების თარიღი** ----------

(შენიშვნა: კრიტერიუმების მიხედვით ჩაიწერება ტესტები, მაგრამ არანაკლებ ოთხისა. შესაძლებელია ყველა შედეგის თეორიული ნაწილის შეფასება მოხდეს ერთდროულად)

1.1.1. ტესტის შინაარსი: _____

_____

_____

**სწორი პასუხების ფურცელი** (სწორი პასუხები ჩამოთვლილი უნდა იყოს კრიტერიუმების მიხედვით)

| **შესრულების კრიტერიუმები** | **სწორი პასუხი** |
|---|---|
| **1.1.შესრულების კრიტერიუმი** | |
| **1.1.1. შესრულების ქვეკრიტერიუმი** | |
| **1.1.2.** | |
| **1.1.3.** | |

**პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა** ----------

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

# შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის კითხვარი

პროფესიული პროგრამის დასახელება ——————————————————————————

მოდულის დასახელება ——————————————————————————————————

მოდულის სარეგისტრაციო ნომერი ——————————————————————————

შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი ——————————————————

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების თარიღი ——————————————

## შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების ჩეკ-ლისტი

| | კრიტერიუმები | შეფასება N1 | შეფასება N2 | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | | დიახ/არა | დიახ/არა | |
| 1. | სწორად არის დაფიქსირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | | | |
| 2. | სწორად არის დაფიქსირებული მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი | | | |
| 3. | შეფასების ინსტრუმენტი შეესაბამება მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას | | | |
| 4. | განსაზღვრულია დავალების შეფასების კრიტერიუმები | | | |
| 5. | დადგენილია რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად | | | |
| 6. | შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ | | | |
| 7. | განსაზღვრულია, თუ რა სახის მტკიცებულებით იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება | | | |
| 8. | მითითებულია ინსტრუმენტის ავტორი/ავტორები | | | |
| 9. | შესასრულებელი დავალებები გასაგები ენითაა აღწერილი | | | |
| 10. | დავალებების შესასრულებლად მოცემულია ზუსტი ინსტრუქტაჟი | | | |
| 11. | განსაზღვრულია დრო დავალებების შესასრულებლად. | | | |
| 12. | შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13. | საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია შეფასებისათვის საჭირო აღჭურვილობა/მასალები/ ინვენტარი | | | |
| 14. | საჭიროების შემთხვევაში აღწერილია ის დამატებითი პირობები, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების პროცესში | | | |
| 15. | შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში შევსებულია ზოგადი ინფორმაციის ყველა ველი | | | |
| 16. | დავალების შეფასების კრიტერიუმები არის გაზომვადი, გამოხატულია რაოდენობრივ ან ხარისხობრი ერთეულების სახით | | | |
| 17. | კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ ყველა შეფასების კრიტერიუმს/ სწავლის შედეგს | | | |

შემოწმების თარიღი:

ვალიდატორის/ვალიდატორების ხელმოწერა:

დანართი N3

# ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
# შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის კითხვარი

პროფესიული პროგრამის დასახელება ——————————————————————————

მოდულის დასახელება ——————————————————————————

მოდულის სარეგისტრაციო ნომერი ——————————————————————————

შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი ——————————————————————————

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების თარიღი ——————————————————————————

## შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების ჩეკ-ლისტი

| | კრიტერიუმები | შეფასება N1 | შეფასება N2 | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | | დიახ/არა | დიახ/არა | |
| 1. | შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში შევსებულია ზოგადი ინფორმაციის ყველა ველი | | | |
| 2. | შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი | | | |
| 3. | გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად | | | |
| 4. | დავალების შეფასების კრიტერიუმები არის გაზომვადი, გამოხატულია რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ერთეულების სახით | | | |
| 5. | კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ ყველა შეფასების კრიტერიუმსა და სწავლის შედეგს | | | |
| 6. | შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი | | | |
| 7. | შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა | | | |
| 8. | შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა | | | |
| 9. | კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული ყველა შეფასების კრიტერიუმისა და სწავლის შედეგის დასადასტურებლად | | | |
| 10. | მოდულის შეფასების სქემა ითვალისწინებს შეფასებების ოპტიმალურ რაოდენობას | | | |

შემოწმების თარიღი:

ვერიფიკატორის/ვერიფიკატორების ხელოწერა:

დანართი N4

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

# მეცადინეობის შეფასების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ——————————————————————————

მოდულის სახელწოდება: ——————————————————სარეგისტრაციო ნომერი:——————

თემის დასახელება ——————————————————————————————————

მეცადინეობის სახე: ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორიული, სხვა

საკონტაქტო საათზე დასწრების თარიღი:——————————————————ჯგუფის N ——————

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი:----------

ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა: ----------

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემოწმების დროს: ----------

მოდულით გათვალისწინებული გაკვეთილის განხორციელების გარემო: A; B; C ; საწარმოო----------

| N | მასწავლებლის შეფასების ასპექტი | არა (0 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | სრულად (2 ქულა) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეცადინეობის თემატიკა შესაბამისობაშია კალენდარულ გეგმასთან | | | | |
| 2. | გაკვეთილის სტრუქტურა შეესაბამება მეცადინეობის მიზანს | | | | |
| 3. | უზრუნველყოფილია მეცადინეობისთვის საჭირო რესურსი | | | | |
| 4. | მასწავლებლის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება სწავლების მიზანს | | | | |
| 5. | მასწავლებელი ლოგიკურად და თანმიმდევრულად მიაწოდებს ინფორმაციას სტუდენტს | | | | |
| 6. | მასწავლებელი საუბრობს / დემონსტრირებას ახდენს მკაფიოდ/ გასაგებად | | | | |
| 7. | მასწავლებელი იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს | | | | |
| 8. | მასწავლებელი იყენებს დემონსტრირების თანამედროვე საშუალებებს, მათ შორის ვიდეო, აუდიო და ვიზუალურ მასალებს | | | | |
| 9. | მასწავლებელი უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას მეცადინეობაში | | | | |
| 10. | მასწავლებელი სტუდენტებს აძლევს დავალებას დამოუკიდებელი სამუშაოსათვის | | | | |
| 11. | მასწავლებელი რაციონალურად იყენებს მეცადინეობისთვის განკუთვნილ დროს | | | | |
| 12. | მასწავლებელი ახორციელებს უკუკავშირს | | | | |

| საბოლოო შეფასება და რეკომენდაციები |
| --- |
| |

ვერიფიკატორი: _____

გვარი, სახელი, დაკავებული პოზიცია

შეფასების თარიღი: _____

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

# შეფასების პროცესის განხორციელების დაკვირვების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

მოდულის სახელწოდება: _____ სარეგისტრაციო ნომერი: _____

შედეგის დადასტურების თარიღი: _____ ჯგუფის N _____

პროფესიული მასწავლებელი: ----------

ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა: ----------

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემოწმების დროს: ----------

| N | შეფასების პროცესი | დიახ | არა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1. | შეფასება დაიწყო დანიშნულ დროს | | | |
| 2. | შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას | | | |
| 3. | შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებით | | | |
| 4. | შესაფასებელ პირებს ჰქონდათ დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა. | | | |
| 5. | შესაფასებელი პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი შეფასების პირობები (დრო და ადგილი, ხანგრძლივობა, შეფასების კრიტერიუმები) | | | |
| 6. | შეფასების პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალებით და ნედლეულით | | | |
| 7. | შემფასებლის ჩართულობა იყო მინიმალური და დამკვირვების ფუნქციით შემოიფარგლებოდა | | | |

| კომენტარები და რეკომენდაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებით: |
|---|
| |

ვერიფიკატორი: _____

გვარი, სახელი, დაკავებული პოზიცია

შეფასების თარიღი: _____

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

# ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ მტკიცებულებების შემოწმების კითხვარი

პროფესიული პროგრამა _____

მოდულის დასახელება _____

მოდულის სარეგისტრაციო ნომერი _____

შეფასებაში მონაწილე პირები _____

შეფასების ჩატარების თარიღი _____

შეფასების მიმართულება: _____

შეფასების ინსტრუმენტი: _____

მტკიცებულების დასახელება: _____

| N | **მტკიცებულება საკმარისია** პროფესიული სტუდენტის მიერ ნაჩვენები შესრულების დონე ადასტურებს მის მიერ სწავლის შედეგის ფლობას | **მტკიცებულება ვალიდურია** შეესაბამება შეფასების მიზანს, მიმართულებას | **მტკიცებულება ავთენტურია** შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ (მტკიცებულებაზე ფიქსირდება პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და ხელმოწერა) | **მტკიცებულება ტრანსფერულია** მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმების შესაბამისად შეძლებს რეალურ სამუშაო გარემოშიც | **შენიშვნა** |
|---|---|---|---|---|---|
| | **1** | **2** | **3** | **4** | |
| N1 | | | | | |
| N2 | | | | | |
| N3 | | | | | |
| N4 | | | | | |
| N5 | | | | | |
| N6 | | | | | |
| N.... | | | | | |

| |
|---|
| შენიშვნების შეჯამება: |

შემოწმების თარიღი:
შიდა ვერიფიკატორები:

# ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი _____

შემფასებელი _____

შეფასების პერიოდი _____

ვერიფიკატორი/ვერიფიკატორები _____

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი _____

| სისტემის ნაწილი | შემოწმების მიდგომა | ინდიკატორი | დიახ/ არა | მტკიცებულება არას შემთხვევაში | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|
| **ვალიდურობა** | | | | | |
| შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. | | | | | |
| შეფასების ინსტრუმენტი | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ | შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით. | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სანდოობა** | | | | | |
| შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. | | | | | |
| შეფასების მტკიცებულება | მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ | ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება | | | |
| | მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ | მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება | | | |
| | მტკიცებულებათა შესწავლა  დარგის სპეციალისტის მიერ | მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება | | | |
| | მტკიცებულებათა შესწავლა  დარგის სპეციალისტის მიერ | მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო | | | |

| **გამჭვირვალეობა** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. | | | | | |
| შეფასების პროცესი | შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) | რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება | წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს ) | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება | რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება | | | |

| **სამართლიანობა** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული. | | | | | |
| შეფასების პროცესი | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა | | | |
| | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ | შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა | | | |
| | შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში). | შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით | | | |

| ობიექტურობა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. | | | | | |
| შეფასების პროცესი | შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა | ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული | | | |
| | | სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შეფასებული | | | |